ალექს ჩიღვინაძე

მარინა რევია

მოქმედი პირები
მარინა რევია
შოთა ნათაძე
ნათია ნათაძე
ნატა დვალი

1

(*მისაღები, სასტუმრო და სამზარეულო ერთ დიდ ოთახად არის გაერთიანებული. ცენტრში ერთი ფანჯარაა. მის მარცხნივ სადარბაზო კარია. მარჯვენა კარი კი დერეფანში გადის, საიდანაც საძინებელ ოთახებში ვხვდებით. ოთახის მორთულობას მრგვალი მაგიდა ოთხი სკამით, ჭრელი ხალიჩა, მომცრო ზომის კარადა, სარკე, კომპიუტერი და ერთი გახუნებული დაგლეჯილი სავარძელი წარმოადგენს. ნატა სავარძელზე ზის. დიდი ზომის, „ადიდასის“ სამზოლიან წითელ ჟაკეტს წამდაუწუმ მუხლებზე იფარებს. მის შორიახლოს ბავშვის ეტლი დგას. ბავშვი ტირის. ნატა კომპიუტერის ეკრანს თვალს არ აშორებს*)

ნატა: ჩუ! შევწუხდი! სულ ტირილი შეიძლება? რა გჭირს, რა? სულ მამაჩემი მახსენდება შენზე. იმასაც პამპერსი ჭირდებოდა ბოლოს. იცი როგორ ყარდა? რაღა მომაკვდავ ბაბუას დაემსგავსე? გაჩერდი რა! მალე მოვა მამაშენი და მოგიტანს პამპერსს. მერე ქენი რამდენიც გინდა და რა პოზაშიც გინდა. ახლა ცოტა ხანი დამაცადე. დაიძინე და სიზმრებს ნახავ. ჩიტებს ნახავ, რძიან ძუძუებს ნახავ, ვარსკვლავებს, დამა ყვავს, ტუზს და ფუ, შენი! წავაგე! დამშვიდდი? წამოეთრიე ახლა. იქით ოთახში გავიდეთ. იქით სიბნელეა. სიბნელე კარგია. გგონია, რომ თვალები დახუჭული გაქვს. ჩუ!

(*ნატა ეტლს ოთახიდან გააგორებს. თვითონ ბრუნდება და ისევ კომპიუტერთან აპირებს დაჯდომას, რომ კარზე ზარს რეკავენ. ნატა კართან მიდის და აღებს, მაგრამ არ ელოდება ვინ შემოვა)*

ნატა: სად იყავი აქამდე?

მარინა: უკაცრავად?

(*ნატას ხელში უცნობი ქალი შერჩება. მარინას ძველი კუბოკრული ქურთუკი, ჩანთასთან ერთად გულზე მიუხუტებია*)

ნატა: რა გნებავთ?

მარინა: თქვენ აქ ცხოვრობთ?

ნატა: დიახ.

მარინა: შეიძლება?

ნატა: არ მაქვს.

მარინა: რა არ გაქვთ?

ნატა: ფული.

მარინა: ფული არ მინდა.

ნატა: აბა, რა გინდა?

მარინა: მე აქ ვცხოვრობდი.

ნატა: როდის ცხოვრობდი?

მარინა: დიდი ხნის წინ. შეიძლება შემოვიდე?

(*ისე რომ პასუხს არ ელოდება და ოთახში შედის. ქურთუკს და ჩანთას სკამზე დებს და ირგვლივ დაკვირვებით ათვალიერებს ყველაფერს*)

მარინა: თქვენ როდის გადმოხვედით?

ნატა: წელიწადზე მეტია.

მარინა: იქირავეთ?

ნატა: არა.

მარინა: აბა, იყიდეთ? კი, მაგრამ ავეჯიც... ეს ყველაფერი დატოვეს?

ნატა: რა დატოვეს? ვის ეძებთ?

მარინა: ბავშვები იყვნენ აქ. ბავშვები რა... ნათია და შოთა. ნათაძეები.

(პაუზა)

ნატა: მე შოთას ცოლი ვარ.

მარინა: რა? ჩემმა შოთიკომ ცოლი მოიყვანა?

ნატა: თქვენმა შოთიკომ?

მარინა: არ ვიცოდი.

ნატა: რატომ გაიკვირვეთ?

მარინა: გილოცავთ!

ნატა: რაღა დროს მილოცვაა.

მარინა: როდის დაქორწინდით?

ნატა: ქორწილი არ გვქონია.

მარინა: რატომ?

ნატა: რა ვიცი, ქორწილს ძირითადად მშობლები იხდიან, სხვებს აჩვენებენ, რო ნორმალური შვილები ჰყავთ. ჩვენ კიდევ არავინ გვყავდა და...

მარინა: საერთოდ არინ მყავსო?

ნატა: არაო. თქვენ ვინ ბრძანდებით?

(პაუზა)

მარინა: მე დედა ვარ შოთასი.

ნატა: დედა?

მარინა: ჰო.

ნატა: შოთას დედა არ ჰყავს.

მარინა: არ ჰყავს?

ნატა: არა, მოკვდა.

მარინა: ვინ გითხრა?

ნატა: ვაიმე, ვინ მეტყოდა? თვითონ.

მარინა: როდის მოკვდაო?

ნატა: პატარა იყო. არ ახსოვს. გულითო.

მარინა: გულით? უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა?

ნატა: ნუ ახლა კიბოთი რო მოეკლა, რა შეიცვლებოდა?

მარინა: არაფერი. ვერ ვხვდები უბრალოდ.

ნატა: რას?

მარინა: რატომ მოგატყუა?

ნატა: ვინ? იქნებ თქვენ მატყუებთ?

მარინა: მე რატომ უნდა მოგატყუო?

ნატა: მე რა ვიცი.

მარინა: დედა არასოდეს უხსენებია?

ნატა: ნუ როცა იგინება ხოლმე, ჩემი დედაცო ამბობს და სხვა დროს არა.

მარინა: რატომ იგინება?

ნატა: ნუ ახლა რა ვიცი, კაცია და შეიგინება.

მარინა: ფოტოც არ გინახავს?

ნატა: რა ფოტო?

მარინა: რა ვიცი, ჩემი ფოტო. თავისი ბავშვობის ფოტოები არ უჩვენებია?

ნატა: არა. აქვს?

მარინა: რა თქმა უნდა. გაინტერესებს?

ნატა: რა?

მარინა: ფოტოები.

ნატა: რავი, კი.

მარინა: რა გქვია?

ნატა: ნატა. თქვენ?

მარინა: ხომ არ მოგიკრავს თვალი... მე მარინა. შინდისფერი ალბომია. ზამშის ყდა აქვს.

ნატა: არა.

(მარინა კარადისკენ მიდის, თუმცა ფანჯარასთან ჩერდება)

მარინა: მოიცა და ხეები?

ნატა: რა ხეები?

მარინა: სად წავიდნენ? ორი ჭადარი არ იდგა აქ?

ნატა: ცოტა ხნის წინ მოჭრეს.

მარინა: მოჭრეს?

ნატა: ჰო.

მარინა: რას ერჩოდნენ?

ნატა: რავი აბა? ესე დადიან და ჭრიან.

მარინა: რას ნიშნავს დადიან და ჭრიან?

ნატა: ბევრი ხე მოჭრეს ასე.

მარინა: რას მოაჭრევინეთ?

ნატა: აი, სულ ჩვენ გვკითხეს ახლა.

მარინა: ახლა მზე მოადგება ოთახს. ვერ გაჩერდები ზაფხულში.

ნატა: ჰო, მაგარი უჰაერობაა.

(მარინა კარადისკენ მიდის)

ნატა: საით?

მარინა: ალბომს მოვძებნი.

ნატა: სად?

(მარინა მაგიდასთან ჩერდება და ხელს გადაუსვამს)

ნატა: რას უსვამთ ხელებს მაგ მაგიდას?

მარინა: სუფთა მაქვს.

ნატა: მერე რა რომ სუფთა გაქვთ?

მარინა: ჩემი ნაყიდია.

ნატა: რა? ეგ მაგიდა?

მარინა: ჰო, ლატარია ვითამაშეთ გოგოებმა.

ნატა: მოიგეთ?

მარინა: რა მოვიგე?

ნატა: ხომ თქვით ლატარია ვითამაშეო?!

მარინა: ა, არა. ეგრე ეძახდნენ უბრალოდ. ხელფასიდან ვდებდით ფულს და ერთ თვეს ერთი იღებდა მეორე თვეს მეორე.

ნატა: რატომ?

მარინა: რა ვიცი, თუ შეგროვება გინდოდა და არ გამოგდიოდა. მე არასოდეს გამომდიოდა.

ნატა: რთულია ფულის შეგროვება, მითუმეტეს როცა არ გაქვს!

მარინა: საშინელი ქარი იყო იმ დღეს, რომ მოვიტანე. კიდევ კარგი მეზობელი შემხვდა. ქურთი ბიჭი იყო, რაფაელი ერქვა. დედამისთან ერთად ცხოვრობდა. ახლაც აქ ცხოვრობენ?

ნატა: არ ვიცი! მეზობლებს არ ვეკონტაქტებით!

მარინა: მეზობლებს რატომ არ ეკონტაქტებით?

ნატა: ნუ ერთი წელიც არ არის რაც გადმოვედი, არავის ვიცნობ.

მარინა: და შოთა ხომ იცნობს...

ნატა: შოთა არ არის მაინცდამაინც მეგობრული ბიჭი.

მარინა: არ არის?

ნატა: არა.

მარინა: სულ დამავიწყდა, ფოტოები. ახლავე ვნახავ.

(მარინა კარადასთან მიდის და ფეხისწვერებზე იწევა, მაგრამ ვერ წვდება. სკამს იღებს, ზედ დგება და ხელს აფათურებს კარადის თავზე)

მარინა: გიჟდებოდა შოთიკო ისე უყვარდა ხატვა. ოღონდ ყველაფერზე ხატავდა ფურცლის გარდა და ვუმალავდი იმ ალბომსაც. ხელში რომ ჩაეგდო ყველა ფოტოს დაჯღაბნიდა. ერთხელ ჩემს პასპორტს მიაგნო და კარგად გააფერადა. ვუთხარი, ეს რომ ვინმემ ნახოს, დაგიჭერენ მეთქი... ერთხელ სახლმართველობაში მომიწია მისვლამ.

ნატა: სად?

მარინა: სახლმართველობაში. ახლა მგონი აღარ ქვია ასე. შოთიკო წავიყვანე და ერთი მოხუცი კაცი მუშაობდა იქ, ვალერი. ძალიან კეთილი კაცი იყო. სერგოს ჰგავდა ზაქარიაძეს. უყურებს ამ ჩემს პასპორტს და შოთას ეკითხება, ბატონო, ეს თქვენი ნახელავიაო? მომეტმასნა, კაბა აიფარა სახეზე, არ იცოდა სად შემძვრალიყო.

ნატა: არ დევს მანდ.

მარინა: ეტყობა სხვაგან შევინახე.

ნატა: თუ მართლა დედამისი ხარ, აქამდე სად იყავით? არც დაგირეკავთ...

მარინა: როგორ არა. თავიდან ვრეკავდი, მაგრამ მერე გათიშული იყო სახლის ტელეფონი.

ნატა: ვინღა ხმარობს სახლის ტელეფონს?!

მარინა: ნეტავ სად შევინახე?

ნატა: დიდი ხანია რაც შვილები არ გინახავთ?

მარინა: თხუთმეტი.

ნატა: თხუთმეტი რა?

მარინა: წელი.

ნატა: შეეშვით ერთ წამს.

მარინა: ვნახავ ახლავე.

ნატა: დედა არ მყავსო.

მარინა: ბატონო?

ნატა: შოთამ, ჩემმა ქმარმა მითხრა, გასაგებად.

მარინა: რა?

ნატა: დაანებეთ თავი. რას ეძებთ?! იქნებ ქურდი ხართ ან მანიაკი. ვიცი?

(მარინა ჩერდება და ნატას უყურებს)

მარინა: მალე დაბრუნდებიან?

ნატა: ვინ?

მარინა: ჩემი შვილები.

ნატა: წესით უკვე უნდა დაბრუნებულიყვნენ.

მარინა: ჰოდა, დაველოდოთ.

ნატა: ვის დაველოდოთ?

მარინა: ჰო, აბა, არ მიჯერებთ და...

ნატა: ახლა დავურეკავ შოთას.

(ნატა მობილურს აიღებს. დახედავს და მარინას შეხედავს)

ნატა: ანგარიშზე ხომ არ გაქვთ?

მარინა: არა, არ მაქვს.

ნატა: გარეთ დაელოდეთ.

მარინა: სად გარეთ?

ნატა: სადარბაზოში, ეზოში, სადაც გინდათ.

მარინა: ხუმრობთ?

ნატა: არა.

მარინა: მოიცა, მაგდებთ?

ნატა: ტუალეტში მინდა და მარტოს ვერ დაგტოვებთ სახლში.

მარინა: რატომ?

ნატა: არ ვიცი ვინ ხართ.

მარინა: გარეთ ვიჯდე?

ნატა: რა ჩემი საქმეა.

მარინა: და არ შეგრცხვებათ?

ნატა: რისი უნდა შემრცხვეს?

მარინა: მართლა დედა რომ ავღმოჩნდე, სად მიდიხართ მერე?

ნატა: რას ნიშნავს მართლა დედა რო აღმოჩნდეთ?

მარინა: საიდან მეცოდინებოდა ბავშვების სახელი? მოვიგონე?

ნატა: ჯერ ერთი ბავშვები არ არიან. დაბრუნდებიან და გავარკვევ.

მარინა: შედით ტუალეტში.

(ნატა კარის გასაღებად მიდის. ამ დროს კარზე აკაკუნებენ)

ნატა: თქვენი საქმე არ არის, მე სად შევალ. გადით ახლა, დროზე!

(კარში ნათია და შოთა დგანან)

მარინა: უთხარით რა ამას, რომ დედათქვენი ვარ.

(შოთა და ნათია სახლში შედიან. ხელში პარკები უჭირავთ. დედის დანახვისას ადგილზე გაშეშდებიან)

მარინა: კინაღამ სახლიდან გამაგდო!

(პაუზა)

მარინა: რა იყო? ვერ მიცანით?

(ნათია თანხმობის ნიშნად თავს დაუკრავს. მარინა მიდის და ჯერ ნათიას გადაეხვევა. შემდეგ შოთასკენ მიდის, მაგრამ შოთა გვერს აუქცევს და მაგიდაზე აწყობს პარკებს. ნატა ტუალეტისკენ გარბის. ხმას არცერთი არ იღებს. პაუზაა. მარინა შვილებს უყურებს და იღიმის)

მარინა: რა დაღლილი ხარ, შვილო.

ნათია: სამსახურიდან მოვდივარ.

მარინა: სად მუშაობ?

ნათია: რესტორანში.

მარინა: რესტორანში რას აკეთებ? მიმტანი ხარ?

ნათია: და რომ ვიყო რა? მიმტანობა სირცხვილია?

მარინა: არა, რატომ არის სირცხვილი... ისე გკითხე.

ნათია: ვცეკვავ.

მარინა: ცეკვას გაყევი?

ნათია: გავყევი რა... ჰო, არ დამინებებია თავი.

მარინა: რა რესტორანია?

ნათია: ძველ ქალაქშია. ტურისტებზეა გათვლილი. ნუ ძირითადად რუსები დადიან. ეროვნული საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი და ცეკვა-სიმღერა. რამდენიმე ნომერი გვაქვს მზად და თუ ერთი კაცი მაინც არის შემოსული, არ ვჩერდებით, ვატრიალებთ ერთიდაიგივეს.

მარინა: და შენ შოთა?

შოთა: რა მე?

(ბრუნდება ნატა)

მარინა: მუშაობ სადმე?

ნატა: არასად/ არ მუშაობს

შოთა: დროებით უმუშევარი ვარ/

ნატა: დროებით?

შოთა: არ არის არსად სამსახური.

ნატა: როგორ არ არის!

შოთა: ჩვენნაირებისთვის არ არის. პატრონი უნდა გყავდეს.

ნათია: პატრონი ყავთ მონებს.

შოთა: მერე მუშაობენ მარტო მონები.

ნათია: დიდი მადლობა.

შოთა: არაფრის.

(პაუზა)

ნათია: გშია?

მარინა: კი, ვჭამოთ ერთად. თან მომიყევით თქვენზე. იმდენი რამე არ ვიცი. ცოლიც მოგიყვანია. მართალია არაფერს იჯერებს, მაგრამ ძალიან ლამაზია.

შოთა: ლამაზია, კი.

ნატა: რა არ ვარ?

შოთა: რავი.

ნატა: რა რავი?

მარინა: სად გაიცანით ერთმანეთი?

ნატა: მეტროში. ვაგონში ეძინა და რო არ გამეღვიძებინა წრეზე წავიდოდა. უნდა გამეშვი ერთი რა. გეტრიალა. ახმეტელი. ვარკეთილი. ახმეტელი. ვარკეთილი.

მარინა: ბავშვობაში ისე გეშინოდა, ფეხებს გაფშეკდი მეტროში ჩასვლისას და და ახლა რამ დაგაძინა?

ნატა: მთვრალი იყო.

მარინა: სვამ?

შოთა: არა.

მარინა: ბევრს?

ნატა: კი.

შოთა: ატრაკებ.

ნატა: რა იყო რას ვამბობ ისეთს?

შოთა: არ ვიყავი მთვრალი. ჩამეძინა უბრალოდ.

ნატა: ჰო, პახმელიაზე იყავი უკვე. დიდი შეღავათი.

მარინა: სკოლა როგორ დაამთავრეთ?

შოთა: ხუთებზე.

ნათია: რას იღრიჭები?

შოთა: ამან დაამთავრა. მე არა.

მარინა: აბა?

შოთა: გამომაგდეს.

მარინა: რატომ გამოგაგდეს?

შოთა: აპასნი ვიყავი სხვებისთვის.

მარინა: რას ამბობ? მართლა?

შოთა: ჰო.

მარინა: რა მოხდა?

შოთა: არაფერი.

ნატა: მასწავლებლის შვილი გალახა.

შოთა: შენ გაჩუმდი და რაც არ იცი ნუ ლაპარაკობ.

ნატა: რა არ ვიცი? რა არ ამაყობ ხოლმე მაგით?

შოთა: ენას ნუ ატლიკინებ-მეთქი.

ნატა: ის საწყალი სამი თვე საწოლიდან ვერ დგებოდა თურმე.

შოთა: შენც თუ არ გინდა ახლა ჩაწვე სამი თვით...

ნატა: ორი ნეკნი ჰქონია მოტეხილი და შუა თითი კიდევ.

(ამ დროს ისმის ბავშვის ტირილის ხმა)

მარინა: ბავშვია?

ნატა: ბავშვი კი არა უკვე ჩამოყალიბებული მხეცია.

მარინა: შვილი გყავთ? გილოცავთ.

ნატა: რაღა დროის მილოცვაა.

(ნატა კარისკენ მიდის)

მარინა: რამხელაა?

შოთა: ექვსის.

მარინა: თვის?

შოთა: აბა, ექვსი წლის ხომ არ იქნება?

მარინა: რა ქვია?

შოთა: სალომე.

მარინა: ლამაზი სახელია.

შოთა: მე დავარქვი.

მარინა: შეიძლება ვნახო?

(პაუზა)

შოთა: ვინ?

მარინა: ბავშვი.

შოთა: მიდი.

(მარინა ოთახისკენ მიდის. კარს აღებს და გადის)

შოთა: რატომ მოვიდა?

ნათია: რა რატომ? თავისი სახლია.

შოთა: დარჩება?

ნათია: აბა, სად უნდა წავიდეს?

(ოთახიდან გამოდის ნატა)

ნატა: პამპერსი სად დადე?

შოთა: ბავშვთან მარტო დატოვე?

ნატა: ვინ?

(შოთა სწრაფი ნაბიჯით გადის)

ნატა: სად გავარდა?

(ნატა პამპერსს იღებს და ისიც გადის. ნათია მარტო რჩება. პარკიდან ალაგებს საჭმელს. აუჩქარებლად ჭრის ჯერ ერთ პურს, შემდეგ კი მეორეს. მეორე პურს უყურებს და პარკში აბრუნებს. ბრუნდება მარინა)

მარინა: როგორ გავს შოთას.

ნათია: ნატას უფრო ჰგავს.

მარინა: არა, შოთას ნაკვთები აქვს.

(ნათია იღებს და მაგიდაზე აწყობს თეფშებს, ჩანგლებს)

მარინა: მოგეხმარები. რას აკეთებ?

ნათია: არაფერს არ ვაკეთებ. გამზადებულია.

მარინა: პურს მაინც დავჭრი.

ნათია: იყოს, დაჯექი შენ.

(მარინა ჯდება. ნათია მაგიდის გაწყობას ამთავრებს)

მარინა: რესტორნიდან მოგაქვს საჭმელი?

ნათია: ხანდახან.

მარინა: რჩება ხომ?

ნათია: ბევრი.

მარინა: იღლები ძალიან?

ნათია: როდის როგორ.

(პაუზა)

მარინა: ხვდები ვინმეს?

ნათია: რა მკითხე?

მარინა: ვინმეს ხვდები?

ნათია: ვის უნდა ვხვდებოდე?

მარინა: შეყვარებული გყავს?

ნათია: არა.

მარინა: რატომ?

ნათია: რა რატომ?

მარინა: დრო არ გაქვს თუ არ მოგწონს არავინ.

ნათია: არავინ არ მომწონს.

მარინა: შენ თუ მოწონხარ ვინმეს?

ნათია: არ ვიცი, არავის უთქვამს.

მარინა: შეუძლებელია.

ნათია: რა?

მარინა: რომ არავის არ ეთქვა ეგ.

ნათია: რატომ?

მარინა: იმიტომ რომ ძალიან ლამაზი ხარ.

ნათია: კომპლიმენტების სათქმელად დაბრუნდი?

მარინა: არა, მაგისთვის არ დავბრუნებულვარ.

ნათია: აბა?

მარინა: რა აბა? რას მეკითხები?

(პაუზა)

ნათია: წავალ, ლოგინს გაგიშლი.

მარინა: რა ლოგინს?

ნათია: ჩემთან. ხომ უნდა დაწვე სადმე? შენს ოთახში იმათ ძინავთ.

მარინა: იყოს გავშლი მერე ჩემით. იყავი აქ.

ნათია: ვიზამ ბარემ.

მარინა: ჭამე ჯერ შენ. ვჭამოთ ერთად.

ნათია: არ მინდა. სამსახურში ვჭამე. დაიწყე და მოვლენ ისინი.

(ნათია გადის. დედა მარტო რჩება მაგიდასთან)

2.

(შუაღამეა. შოთა კომპიუტერთან ზის და გვერდით ეტლი უდგას და თვალი გაშტერებია. შემოდის ნატა ღამის პერანგში)

ნატა: რატო არ გძინავს?

(შოთა არ პასუხობს)

ნატა: რატომ არ გძინავს, ე?

შოთა: ბავშვს ხომ უნდა მიხედოს ვინმემ?

ნატა: რა ჭირს ბავშვს?

შოთა: ტიროდა.

ნატა: აჭამე?

შოთა: სულ მე არ ვაჭმევ?

ნატა: რძე რო გამიშრა, რა ჩემი ბრალია.

შოთა: რძე მე მაქვს? ბოთლით შეგიძლია აჭამო.

ნატა: რატომ მატყუებდი დედაჩემი მოკვდაო?

შოთა: მკვდარი მეგონა.

ნატა: არ მჯერა.

შოთა: ამ ჩემს ფეხებს.

ნატა: ჩვენს სახურავზე ნამყოფი ხარ?

შოთა: სად სახურავზე?

ნატა: ამ სახლის.

შოთა: რავი ბავშვობაში. რა იყო?

ნატა: ბალახი არის?

შოთა: სახურავზე რა უნდა ბალახს?

ნატა: რავი, დამესიზმრა რომ იყო. ცხენები იცოხნებოდნენ. ანტენებზე პარკები ფრიალებდნენ დროშებივით. ბევრი ცხენი იყო. ათი ან შეიძლება მეტნიც იყვნენ თავის კვიცებიანად. უცბად ერთი, შავი ცხენი, შუბლზე თეთრი ნიშანი ჰქონდა, გაექანა და გადაეშვა. სხვებიც გაეკიდნენ და რომ გადავიხედე, სისხლის გუბეები იდგა, უნდოდათ ადგომა, მაგრამ ვერ დგებოდნენ. მოვკვდი იმათი საცოდაობით. და უცბად ვიღაცამ მკრა ხელი. მივიხედე და ვინ დავინახე?

შოთა: ვინ?

ნატა: დედაშენი.

შოთა: დედაჩემი?

ნატა: დიახ. ასფალტს რო დავასკდი, მაშინ გამეღვიძა.

შოთა: და რა გინდა სიზმრის აგიხსნა?

ნატა: ძვლები მტკივა.

შოთა: საბანი გადახდილი ხომ არ გქონდა?

ნატა: არა. ისე მართლა სად იყო დედაშენი?

შოთა: არ უთქვამს?

ნატა: როდის უნდა ეთქვა?

(პაუზა)

შოთა: ციხეში იჯდა.

ნატა: ციხეში?

შოთა: ჰო.

ნატა: დედაშენი ქურდია?

შოთა: დღედღეზე ელოდება კურთხევას.

ნატა: თხუტმეტი წელი იჯდა? სერიული მკვლელია თუ ვინაა?

შოთა: რუსთაველი მანიაკი გაგიგია?

ნატა: კი.

შოთა: დედაჩემია.

ნატა: კაცი იყო ის.

შოთა: შენ რა იცი?

ნატა: მითხარი, რაზე იჯდა?

შოთა: არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი.

ნატა: აბა, რაზე გინდა ლაპარაკი? ისედაც არაფერი არ ვიცი შენზე.

შოთა: რაც იცი, ეგეც საკმარისია.

ნატა: არა, არ გიცნობ.

შოთა: რატო მაგალითად ხომ იცი რო სიბინძურეს მარტო მარცხენა ხელს ვკიდებ.

ნატა: რა სიბინძურეს?

შოთა: იქ ხომ მარტო მარცხენა ხელს გკიდებ. არ შეგიმჩნევია?

ნატა: ბინძური თავი გაბია და ვაფშე იქ საერთოდ არ მკიდებ ხელს.

შოთა: როცა გკიდებ.

ნატა: რატო?

შოთა: იმიტო რომ მარჯვენა სუფთა უნდა გვქონდოდა შენახული. მარჯვენათი პირჯვარი უნდა გადაგვეწერა. დედაჩემი რო ჩაჯდა...

ნატა: ანუ გახსოვს?!

შოთა: ის უკეთ მახსოვს, მერე ვინც იყო ჩვენთან.

ნატა: ვინ იყო?

შოთა: დედაჩემის ბიძაშვილი ლეილა.

ნატა: ვინ?

შოთა: ჩვენი მეურვე.

ნატა: არ გიხსენებია.

შოთა: როგორ არ მიხსენებია. შენ არ მისმენ უბრალოდ.

ნატა: დედა მკვდარი მყავსო არ მითხარი?

შოთა: არასოდეს არ მისმენ.

ნატა: დარჩება?

შოთა: ვინ?

ნატა: დედაშენი!

შოთა: აბა სად წავა? მაგის სახლია.

ნატა: მე მეგონა შენი იყო.

შოთა: დედაჩემის და ჩემი რამ გაყო?

ნატა: საერთოდ არ ეკონტაქტებოდი?

შოთა: ვის? როგორ? ციხეში იჯდა.

ნატა: არ ნახულობდით?

შოთა: არა.

ნატა: რატომ?

შოთა: არ გვიშვებდა ლეილა.

ნატა: არ გიშვებდათ რას ნიშნავს?

შოთა: რას უნდა ნიშნავდეს?

ნატა: და ახლა?

შოთა: რა ახლა?

ნატა: ანუ ერთად ვიცხოვრებთ?

შოთა: არა, დავიწყებ სამსახურს და სხვაგან გადავალთ.

ნატა: გამახსენე ერთი, რამდენი ხანია რაც იწყებ სამსახურს?

შოთა: შემოგარტყამ ახლა.

ნატა: ანუ გინდა რომ გადავიდეთ?

შოთა: ჰო.

ნატა: არა მგონია.

შოთა: რა არ გგონია? იმის მაგივრად, რო დამიპადეშკო, დგახარ აქ და არ გამოგივა, არა მგონია. წადი რა!

ნატა: შენს დას ვერ მიატოვებ.

შოთა: რას ნიშნავს ვერ მივატოვებ?

ნატა: რას და შენი დის გარეშე ვერ გაძლებ.

შოთა: გავძლებ.

ნატა: ვერა. ვიცი როგორც გიყვარს.

შოთა: არ უნდა მიყვარდეს? ჩემი დაა. ვერაფრით ვხვდები რა, ვიღაცებს ცუდი ურთიერთობა რო აქვთ თავის და-ძმასთან, ერთად გაიზარდეთ, როგორ არ უნდა გიყვარდეს ან როგორ უნდა მოექცე ცუდად?

ნატა: შენ სხვანაირად გიყვარს.

შოთა: შენ ხომ არ აფრენ?

ნატა: შენს ხელში...

შოთა: რას ნიშნავს სხვანაირად?

ნატა: ხმას დაუწიე. ბავშვს გააღვიძებ.

შოთა: არ უნდა დაფიქრდე, რას ამბობ?

ნატა: ბავშვს გააღვიძებ.

(შოთა ჩურჩულით)

შოთა: რატომ ხარ ასეთი სულელი?

ნატა: შენ ხო გადმოგდის ჭკუა თავიდან.

შოთა: დაწექი თუ არ გინდა რო გადაგაგდო ფანჯრიდან!

ნატა: შენ არ წვები?

შოთა: მერე ბავშვს ვინ მიხედავს?

ნატა: რა მიხედვა უნდა? ძინავს.

შოთა: იმიტომ რო მე დავაძინე.

ნატა: და რას მამადლი ვერ გავიგე?

შოთა: რას გამადლი?

ნატა: რომ დააძინე ბავშვი. შენი შვილიცაა მგონი?

შოთა: შენ დედა ხარ.

(ნატა ბავშვის ეტლს ხელს კიდებს და კარისკენ მიჰყავს)

ნატა: დედა შენ რო გყავდა ხო იმიტო...

შოთა: იმიტომ რა...

ნატა: დაწექი რა!

შოთა: არა, თქვი რა იმიტომ... ფუ, შენი!

(ნატა გადის. შოთა კედელთან მიდის თითქოს უნდა მუშტები დაუშინოსო. შემდეგ გასასვლელი კარისკენ გატრიალდება, მაგრამ გადაიფიქრებს და სავარძელში ჩაჯდება. რამდენიმე წამში კარი იღება და ჩნდება ნათია. თეთრი მაისური აცვია)

ნათია: ვის ელაპარაკებოდი?

შოთა: ვის დაველაპარაკებოდი?

ნათია: სადაცაა გათენდება უკვე.

შოთა: მერე რა ვქნა?

ნათია: რა გაჩხუბებდათ?

შოთა: საიდან მოიტანე რო ვჩხუბობდით?

ნათია: აბა?

შოთა: დედაზე აინტერესებდა.

ნათია: რა გკითხა?

შოთა: სად იყოო?

ნათია: მერე უთხარი?

შოთა: კი.

ნათია: რაო?

შოთა: არაფერი! რამე გითხრა ოთახში რომ შემოვიდა? სანამ დაიძინებდით?

ნათია: არა, თავი მოვიმძინარე.

შოთა: სუ ეგრე შვებოდი ბავშვობაში.

ნათია: შენ რა არ იმძინარებდი? ჩაიწიე, დამსვი.

(ნათია შოთას გვერდით ჯდება)

შოთა: შენს პონტში.

ნათია: ჩემს პონტში თორე...

შოთა: არაფერი არ უთქვამს?

ნათია: თავისთვის ლაპარაკობდა. ბოდავდა რაღაცას. როგორ ვენატრებოდით... რო რაც მოხდა...

(პაუზა)

შოთა: რაო?

ნათია: არაფერი.

შოთა: მითხარი!

ნათია: შეიძლება დამესიზმრა და არც არაფერი უთქვამს. მოვიდა და საბანი გამისწორა. ვუსმენდი, როგორ სუნთქავდა. განძრევის მეშინოდა. ტუალეტში მინდოდა და ვერ ავდექი. კინაღამ ჩავიფსი.

შოთა: რაზე უნდა ველაპარაკოთ? ამდენი წელია არ გვინახავს.

ნათია: არ ვიცი. ნელ-ნელა გამოვნახავთ სალაპარაკოს.

შოთა: რას?

ნათია: ბავშვობას გავიხსენებთ ხოლმე.

შოთა: შენ რა გენაღვლება სამსახურში ხარ მთელი დღე.

ნათია: შენ იმუშავე მაშინ და მე დავჯდები სახლში.

შოთა: ნებისმიერ რაღაცაზე თანახმა ვარ.

ნათია: ათი წლიდან იგივეს იმეორებ.

შოთა: ახლა სხვა პონტი არ მაქვს.

ნათია: აქამდე გქონდა?

შოთა: არ იცი, რომ ვეძებ სამსახურს?

ნათია: ვიცი.

შოთა: დაჟე იმასაც ვფიქრობ, რომ სტაინჩიკად დავიწყო. აქ ჩვენს პარკთან. მარტო ერთი სტაინჩიკია, გავროშა. ცოლი მეეზოვეა. უნდა ნახო როგორ ეპრანჭებიან ერთმანეთს. ეს ბივში ქუჩის ბიჭია რა და ისე ეკონტაქტება ტიპებს, რო იფიქრებ მეფეაო. ბინა აქვთ სამოთახიანი.

ნათია: რა გინდა მეფე ყოფილა მართლა.

შოთა: ისე გადააკეთეს, რომ ორი შემოსასვლელი გაუკეთებიათ. თვითონ ერთ ოთახში არიან. სამნი. ბიჭი ჰყავთ ჩვენხელა და ის დანარჩენი გააქირავეს.

ნათია: მშვენივრად მოუფიქრებიათ.

შოთა: იცი ვისზე გააქირავეს?

ნათია: არ მკიდია?!

შოთა: ვიღაც ტიპზე. ქალივით აცვია. ქალი ვარო იძახის, მარა ჯერ არ მოუჭრია მგონი. ოცდაოთხი საათი იმას წყევლიან. მარა პახოდუ ისეთ დღეში არიან, რომ ის ქირა რო არა მაგრა დაენძრეოდათ. თან ეს ლოთია. და რო დათვრება სუ იმ საწყალ ტიპს აგინებს.

ნათია: ჩემთან მუშაობდა ერთი გეი, თაზო, მიმტანი იყო და რო გაიგეს, სამსახურიდან გააგდეს, სირებმა.

შოთა: ღირსია მერე.

ნათია: რატომ?

შოთა: რავი...

ნათია: არა, თქვი რატოა ღირსი?

შოთა: კაი, დამანებე რა თავი.

ნათია: ჰოდა, მაშინ ნუ ამბობს სირობებს.

შოთა: პარასკეობით მოდის ვიღაც ტიპი იქ. შავი ჯიპით. გადმოდის, მერე იღებს ჩემოდანს და შედის ბანკში. გავროშა ხვდება. გასაღებს ართმევს და მანქანას აყენებს ხოლმე.

ნათია: რაში მაინტერესებს?

შოთა: ხანდახან ვფიქრობ, რო შეიძლება... გადავიცვა ის სტანჩიკის ფორმა.

ნათია: გადაიცვი მერე.

შოთა: გადავიცვამ და ის ტიპი რომ მოვა ერთ დღესაც, რო შეტრიალდება, გავუყრი.

ნათია: რას გაუყრი?

შოთა: ჩემოდანს გავწევ.

ნათია: აუ, რა დეგენერატი ხარ! ღმერთო! იმის მაგივრად რო მართლა სამსახური მოძებნო...

შოთა: ალბათ იმდენი ფული ექნება, რომ მთელი ცხოვრება გვეყოფა.

ნათია: ფული საერთოდ არ დაგჭირდება ციხეში. თუ არ იცი დედაშენს მაინც ჰკითხე. მაგის მეტი კი არაფერი იცის.

შოთა: თქვენ ხომ გეყოფათ?

ნათია: ვის ჩვენ? შტერი ხარ რა. გათენდა უკვე.

(ჩიტების ჭიკჭიკის ხმა შემოდის. ნათია შოთას მხარზე ადებს თავს.)

შოთა: ჰო, ჩართეს უკვე ბოზებმა. აჭიკჭიკდნენ. ადე, ჩაგეძინება.

ნათია: ჰო.

(ნათია თვალებს ხუჭავს)

3.

(გამოდის მარინა)

მარინა: დილა მშვიდობისა! გაიღვიძეთ უკვე?

ნათია: ჰო, ადრე ვდგები ხოლმე.

მარინა: ისაუზმეთ?

ნათია: არა.

მარინა: გავაკეთებ რამეს.

ნათია: იყოს მე არ მინდა.

მარინა: კვერცხი გვაქვს?

ნათია: ისე უნდა გვქონდეს. ნახე მაცივარში.

შოთა: რას იზამ შენ?

მარინა: რაზე?

შოთა: რავი ისე... სახლში იქნები?

მარინა: არა, გავისეირნებ ალბათ ცოტას. ძალიან შეიცვალა ალბათ ქალაქი და მაინტერესებს.

შოთა: როგორი დედა მოტყნულიც იყო ადრე, ახლაც ისეთია.

მარინა: ნუ უზრდელობ!

შოთა: ციხეში არ იგინებოდნენ?

მარინა: მარტო მაშინ როცა ჭირდებოდათ. ახლა კი უადგილო იყო. თან დედასთან ესეთი სიტყვები არ უნდა თქვა. თან შენ რა გახსოვს როგორი იყო ქალაქი. ისე სულ სასეირნოდ დავდიოდით ხოლმე?

ნათია: გავედი მე.

შოთა: მეც მოვდივარ.

მარინა: შენ სადღა მიდიხარ? არ გინდა ერთად გავისეირნოთ, როგორც ბავშვობაში? ახლა შენ დამათვალიერებინებ ქალაქს.

შოთა: ვერა, საქმეები მაქვს.

მარინა: რა საქმეები გაქვს?

შოთა: სამსახურს ვეძებ.

მარინა: სად?

შოთა: რავი ახლობლის ზარს ველოდები და... უნდა გავიარო ერთი-ორგან.

ნათია: ჰა, მოდიხარ?

მარინა: არც შენ ისაუზმებ?

შოთა: იყოს არ მინდა.

(ნათია და შოთა გადიან. მარინა მარტო რჩება. თვალს გააყოლებს შვილებს. დგება კარადასთან მიდის. იღებს ჩაიდანს და თეფშს. მაგიდასთან ჯდება. გამოდის ნატა)

ნატა: რა გემრიელი სუნი დგას!

მარინა: ყიყლიყოა!

ნატა: შოთა სადაა?

მარინა: ნათიას გაყვა. სამსახური უნდა ვნახოო.

ნატა: სად უნდა ნახოს?

მარინა: არ ვიცი. ბავშვს ძინავს?

ნატა: აჰა.

(ნატა მაგიდასთან ჯდება და ყიყლიყოს შეექცევა)

ნატა: ასწორებს.

მარინა: შეგერგოს!

ნატა: ციხეში გაგიჭირდათ?

მარინა: რა მკითხე?

ნატა: როგორი იყო ციხეთქო?

მარინა: გითხრეს უკვე?

ნატა: აქამდე არ უნდა ეთქვათ?

მარინა: ალბათ უნდა ეთქვათ.

ნატა: გაგიჭირდათ?

მარინა: თავიდან ძალიან.

ნატა: თავიდან რა... მერე შეეჩვიეთ?

მარინა: არა, შევეგუე.

ნატა: ეგ ერთიდაიგივე არ არის?

მარინა: არა, განსხვავდება. შენი მშობლები სად არიან?

ნატა: მამა მომიკვდა.

მარინა: ვიზიარებ.

ნატა: დიდი ხნის წინ. დედა უკვე რამდენიმე წელია იტალიაშია. სამუშაოდ. თქვენი ქმარი?

მარინა: რა ჩემი ქმარი?

ნატა: შოთას მამა ხომ ჰყავდა?

მარინა: რაო ისიც მოკვდაო?

ნატა: ისიც ციხეში ზის?

მარინა: არა, ციხეში არ ზის. სამუშაოდ წავიდა, დედაშენივით.

ნატა: სად?

მარინა: საბერძნეთში. ძალიან გვიჭირდა.

ნატა: საბერძნეთშია?

(მარინა მხრებს აიჩეჩავს)

ნატა: არ იცით?

მარინა: დაიკარგა.

ნატა: ცოცხალია?

მარინა: მკვდარი რომ იყოს, გავიგებდი ალბათ. მკვდარს უფრო უჭირს დამალვა.

ნატა: მიგატოვათ?

მარინა: ეგრე გამოვიდა. არსად არ სწავლობ?

ნატა: სკოლა დავამთავრე უკვე.

მარინა: მაგას მივხვდი. რატომ არ გააგრძელე სწავლა?

ნატა: სად უნდა გამეგრძელებინა?

მარინა: რა ვიცი, სადმე.

ნატა: ბავშვი მყავს.

მარინა: მერე რა, მოგეხმარები მე.

ნატა: მართლა?

მარინა: ჰო. ბავშვს დავიტოვებ.

ნატა: შეიძლება კიდე ვჭამო?

მარინა: სულ შენია აქ რაც აწყვია.

ნატა: რაზე ჩაგსვეს?

მარინა: შეიძლება ამაზე არ ვილაპარაკოთ?

ნატა: აბა, რაზე ვილაპარაკოთ?

(პაუზა)

მარინა: მითხარი შენ რისი კეთება გინდა? რა გაინტერესებს?

ნატა: არაფერი.

მარინა: როგორ არაფერი?

ნატა: არაფრის ნიჭი არ მაქვს.

მარინა: არ არსებობს.

ნატა: როგორ არაა.

მარინა: იქ ციხეში რომ ვიჯექი ბევრს ვფიქრობდი იმაზე, რამდენი რამის გაკეთება შემეძლო და რამდენი შანსი გავუშვი. იმდენ რამეს ვნანობ. ახლა რომ თავიდან ვიწყებდე, ახლა რომ შენხელა ვიყო.

ნატა: რას იზამდი?

მარინა: ბევრ რამეს!

ნატა: მაინც რას?

მარინა: ჯერ შენ მითხარი, რა გაინტერესებს.

ნატა: რავი აბა...

მარინა: მაინც?

ნატა: ბავშვობაში ხელბურთს ვთამაშობდი.

მარინა: ხელბურთს?

ნატა: ჰო, ისე მომწონდა ტყავის, გაცვეთილი პატარა ბურთები, დარბაზის დიდი ფანჯრები, დაფლეთილი ბადეები კარზე. გოგოებიც კაი ტიპები იყვნენ. მაგრამ მერე ერთხელ შეჯიბრზე უნდა წავსულიყავით ბათუმში. ისე მიხაროდა. თან ზღვა არ მქონდა ნანახი.

მარინა: ზღვა არ გქონდა ნანახი?

ნატა: არა, ზღვაზე არ ვარ ნამყოფი. ტრენერმა ფორმები უნდა ვიყიდოთ, ფულს ვაგროვებთო.

მარინა: მერე?

ნატა: მარტო მე არ მქონდა ფული. მამაჩემი იყო ცუდად მაშინ. ისე მრცხვენოდა. როგორ მეთქვა, ფული არ მაქვს. ერთერთი საუკეთესო მოთამაშე ვიყავი არადა.

მარინა: არ წახვედი?

ნატა: არა, მამაჩემი ცუდად არის და ვერ წამოვალთქო. არა, ისე ცუდადაც არ იყო, ნუ შემეძლო წასვლა ფული რო მქონოდა.

მარინა: მერე?

ნატა: სახლში რაც კი ბოთლი გვქონდა, ყველა ჩავაბარე. მაინც ვერ მოვაგროვე საკმარისი. იმის მერე აღარ მივსულვარ.

მარინა: ამ დროს შეიძლება დიდი ხელბურთელი დაკარგა ქვეყანამ.

ნატა: არაა, გამორიცხული. სხვათაშორის ის თამაში წააგეს, ბათუმში. მე რომ ვყოფილიყავი, ვინ იცის... მაგრა ვთამაშობდი მართლა. სწრაფი ვიყავი, გავძვრებოდი, გამოვძვრებოდი. შეხტა, მოიქნია. გიჟდებოდა ჩემზე ტრენერი.

მარინა: ხელბურთის გარდა?

ნატა: რავი აბა, მეტი არაფერი.

მარინა: მართლა მინდა, რომ დაგეხმარო.

ნატა: რატომ გინდათ რომ დამეხმაროთ?

მარინა: ჯერ ეს ერთი შენობით მელაპარაკე. იმიტომ მინდა, რომ მე თვითონ ადრე გავთხოვდი, შენსავით. როცა შემეძლო მესწავლა და მემუშავა. მეცადა მაინც რამე. ვინ იცის იქნებ კარგი მეცნიერი გავმხდარიყავი. ან კარგი

მსახიობი. ისე ციხეში ერთი როლი ვითამაშე. ვიღაც რეჟისორი იყო შემოსული, პომადა ესვა ყველგან, სპექტაკლს დგამდა პატიმარ ქალებთან, შემარჩია და ნიჭი გაქვსო.

ნატა: რა დადგით?

მარინა: ფიფქია და ერთი ჯუჯა.

ნატა: თქვენ დედინაცვალი იყავით?

მარინა: არა.

ნატა: აბა, ფიფქია?

მარინა: არა, ჯუჯა. ინტერვიუც აიღეს ჩემგან.

ნატა: რა ინტერვიუ?

მარინა: ინტერვიუ რა, გადამიღეს. მაგრამ მეგონა, რომ ბავშვები მნახავდნენ. ნაცნობები მნახავდნენ და ძალიან შემეშინდა. მეგონა წინ იდგნენ და იმათ ველაპარაკებოდი. ავტირდი. არ გაუშვებდნენ ალბათ.

ნატა: რატომ არ გაუშვებდნენ?

მარინა: რავი, რომ ვიტირე და ვერაფერი ვთქვი.

ნატა: რას ამბობ, პირიქით. ეგეთები გაუშვიათ? ისე მგონი მეც კარგი მსახობი ვიქნებოდი.

მარინა: ჰოდა, ისწავლე!

ნატა: სად?

მარინა: თეატრალურში?

ნატა: ხომ მომკლა შოთამ.

მარინა: რატომ?

ნატა: რა ვიცი. კაცები სულ ეგრე არ იქცევიან? მამაჩემიც ცემდა დედაჩემს. მარა მერე დედაჩემს ეცოდებოდა. ეგ მარტო ჩვენ შეგვიძლია.

მარინა: რა შეგვიძლია?

ნატა: რო შევიცოდოთ კაცები.

მარინა: ჰო.

ნატა: კაცებს მარტო კუნთების თამაში შეუძლიათ.

მარინა: ვარჯიშობს შოთა?

ნატა: ვარჯიშობს არა ის. ივარჯიშოს მაინც. მე მიყვარს დაკუნთული ბიჭები. შოთა კიდე ისეთი გამხდარია. ისე კი არ გაიგოთ, რომ ბევრი ბიჭი მყოლია. ისე მიყვარს რა, მომწონს პროსტა. აი, კაცებს ხომ მოსწონთ დიდი ძუძუები და ნუ რას გელაპარაკებით ახლა საერთოდ. რას ამბობდით?

მარინა: არაფერს, იმდენი რამის გაკეთება შემეძლომეთქი. ხომ შეიძლება კარგი ექთანი ვყოფილიყავი. ვინმე გადამერჩინა? ამის მაგივრად ბავშვები გავაჩინე. ერთმანეთის მიყოლებით. გეგონება, გეგმა მქონდა შესასრულებელი. გეგონება, მითვლიდნენ.

ნატა: არა რა, შვილის გაჩენა მაგარი დაუფასებელი შრომაა.

მარინა: ჰოდა, მერე?

ნატა: გვიანია.

მარინა: არასოდეს არ არის გვიან. თავიდან მეგონა ვერასოდეს გამოვიდოდი ციხიდან. იქ მოვკვდებოდი. მერე გამოსვლის თარიღი, რომ მოახლოვდა, დღეებს ვითვლიდი. თან მეშინოდა, თან იმედი მქონდა. არადა, ციხეში თავიდან იმედზე სასტიკი ზედამხედველი არავინაა. მაგრამ ბოლოსკენ ისეთი

მზრუნველი ხდება. რა უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, რომ წლების უნახავ შვილებს ნახავ და მარტო შვილებს? შვილიშვილს.

ნატა: ესე იგი ბავშვს მართლა დაიტოვებ ხოლმე?

მარინა: კი, დღესაც დავიტოვებ.

ნატა: შოთა კი მიშლის, მარა...

მარინა: რას?

ნატა: ბავშვის დატოვებას. ხანდახან მეც კი არ მანდობს. ნათიასთანაც კი არ მატოვებინებს.

მარინა: რატომ?

ნატა: რავი აბა, ეგეთი ფეთიანი მამაა. შენ თუ დაღლილი ხარ მართლა...

მარინა: არა, რა დამღლიდა, კურურტზე ვიყავი ამდენი წელი.

ნატა: მაშინ წავალ რა ცოტა ხნით. კლასელები არ მინახავს საუკუნეა.

მარინა: რამდენი ხნითაც გინდა იმდენი ხნით წადი.

ნატა: შენ გასეირნება ხომ არ გინდოდა სადმე?

მარინა: არა.

ნატა: მართლა მალე მოვალ.

მარინა: არ იჩქარო.

(ნატა ეტლს გამოაგორებს)

ნატა: პამპერსი ოთახშია. რძე სამზარეულოში.

მარინა: კარგი ბატონო.

(პაუზა)

ნატა: გინდა დედა დაგიძახო?

მარინა: რავი შენ თუ გინდა.

ნატა: მოსულა?

მარინა: მოსულა.

ნატა: აბა, დროებით, დედა.

(ნატა თვალს უკრავს მარინას და ოთახიდან გადის. მარინა მარტო რჩება ბავშვის ეტლთან. თვალი უშტერდება. შემდეგ ფრთხილად უახლოვდება. გეგონება ეტლში კი არა უფსკრულში იყურებაო)

4.

(კარი იღება და შემოდის შოთა. ხედავს დედამისს და იქვე ბავშვის ეტლს)

მარინა: მოხვედი?

შოთა: ნატა სად არის?

მარინა: ცოტა ხნით გავალო.

შოთა: სად გავალო?

მარინა: არ ვიცი.

(შოთა ეტლს ხელს კიდებს და კარისკენ მიაგორებს)

მარინა: ვაჭამე.

შოთა: მადლობა.

მარინა: ცოტა ხნის წინ დაიძინა.

(შოთა მალევე ბრუნდება ოთახიდან)

მარინა: რა ქენი?

შოთა: რაზე?

მარინა: ნახე რამე? მაგრამ ასე მარტივია სამსახურის ნახვა?

შოთა: ხვალიდან ვიწყებ.

მარინა: მართლა? გილოცავ. სად?

შოთა: სტაიანჩიკად.

მარინა: რა უნდა აკეთო?

შოთა: მანქანების გაჩერებაში დავეხმარები ხალხს. მანქანების მეტი არაფერია ამ ქალაქში. უკვე აღარ იციან სად დააყენონ. ყველგან მანქანა დგას. საითაც არ უნდა გაიხედო.

მარინა: ხელფასი რამდენი გექნება?

შოთა: ჩემზეა დამოკიდებული. რა იყო?

მარინა: რა უნდა იყოს?

შოთა: აბა, მე პარლამენტში არავინ დამაწყებინებდა მუშაობას.

მარინა: ღმერთმა დაგიფაროს, რა გინდა პარლამენტში.

შოთა: რატო რა?

მარინა: პარლამენტში მარტო გამორჩეული ნაძირლები ხვდებიან.

შოთა: ფული კი აქვთ და.

მარინა: მარტო ფულია ხო არ არის მერე?

შოთა: რავი აბა. გაისეირნე თუ გინდა შენ.

მარინა: იყოს, მადლობა. ხვალ გავალ.

შოთა: კარგი.

(პაუზა)

მარინა: შოთა!

შოთა: ჰო.

მარინა: რაღაც მინდა გკითხო!

შოთა: გისმენ.

მარინა: რატომ არ მნახეთ?

შოთა: სად?

მარინა: ციხეში რატომ არ მოხვედით?

შოთა: რატომ? არ იცი?

(პაუზა)

შოთა: ლეილა არ გვიშვებდა.

მარინა: რატომ?

შოთა: შენი აზრით?

მარინა: არ ვიცი!

შოთა: საზიზღარი ქალი იყო.

მარინა: ცუდად გექცეოდათ?

შოთა: ძალიან.

მარინა: გცემდათ?

შოთა: არა. არ გვცემდა.

მარინა: აბა?

შოთა: ერთხელ მე და ნათია ვთამაშობდით. ოთახებში დავრბოდით, ვჭიდაობდით და უცბად ჩამავლო ხელი უკნიდან, იმენა ათლეტი იყო ეგ ქალი, მაჯანჯღარებს და მიდი, ბარემ მოტყანიო, მეუბნება. აზრზე ვერ მოვედი. რას უშვები შენ დასო. პროსტა ვთამაშობდით, ბავშურად.

მარინა: ვრეკავდი ხოლმე.

შოთა: სად რეკავდი?

მარინა: აქ, სახლში, თქვენთან. მეუბნებოდა, ბავშვებს არ უნდათ შენთან ლაპარაკიო.

შოთა: არ უთქვამს.

მარინა: ვეხვეწებოდი. ვტიროდი, მოიყვანე, ხმა მაინც გამაგონე-მეთქი, მითიშავდა... მაგრამ რო გაიზარდეთ?

შოთა: რომ გავიზარდეთ რა?

მარინა: მერე ხომ შეგეძლოთ მოსულიყავით?

შოთა: კი, შეგვეძლო.

მარინა: და რატომ არ მოხვედით?

შოთა: არ ვიცი.

მარინა: არ მესმის.

შოთა: გინდა კომპიუტერთან დაჯექი. ჩაგირთავ.

მარინა: სრულწლოვანები რომ გახდით მაშინ... ერთხელ მაინც მოსულიყავით. არ გახსენდებოდით?

შოთა: კი, გვახსენდებოდი.

მარინა: მერე არ გენატრებოდათ დედა? მითხარი... ხომ გამოვიდოდი ადრე თუ გვიან. რას ფიქრობდით თუ გეგონათ რომ მოვკვდებოდი?

შოთა: ისე სწრაფად გავიდა დრო რომ...

მარინა: ჩემთვის ძალიან ნელა გავიდა.

შოთა: თავიდან მეც მეგონა, რომ დრო საერთოდ არ გადიოდა. პირველად რამაც დამაეჭვა იყო მტვერი, აი, გაწმინდე ხომ რაღაც და უყურებ როგორ ედება მტვერი. რატო? საიდან ჩნდება ვაფშე? მაშინ მივხვდი რომ დრო გადის.

(კარი იღება და შემოდის ნათია. ქართული ცეკვის თეთრი კაბა აცვია. გაღიზიანებულია. ჩანთას სავარძელზე მიაგდებს)

ნათია: მშია! გვაქვს რამე?

შოთა: ასე მალე რატო დაბრუნდი?

ნათია: დავიღალე!

(ნათია მაგიდასთან მიდის. იღებს პურს და ჭრის ორ ნაჭერ პურს)

მარინა: მოიცა გაგიკეთებ რამეს!

ნათია: რას გამიკეთებ?

მარინა: რა გინდა?

ნათია: ბუტერბროდი და ვიკეთებ.

(პურის ნაჭერზე დებს ლორის თხელ ნაჭერს და ბლომად კეტჩუბს ასხამს. ზედ მეორე ნაჭერს ადებს. ჯდება და ჭამს. კეთჩუბი თეთრ კაბაზე ეწვეთება)

შოთა: მოხდა რამე?

ნათია: არა.

შოთა: აბა?

ნათია: რა აბა? სახლში მოვედი. არ შეიძლება დავისვენო?

მარინა: დაიღალე?

ნათია: ძალიან.

შოთა: ვინმემ გაწყენინა?

ნათია: ყველას ძაან არ კიდია მე რა მეწყინება ან გამიხარდება?

შოთა: ვის კიდია?

ნათია: ყველას!

შოთა: ვინ გაგაბრაზა?

(ნათია ილუკმება და შოთას პასუხს არ სცემს)

მარინა: ნათია!

ნათია: დიახ!

მარინა: შეეშვი მაგ სამსახურს, თუ არ მოგწონს.

ნათია: და ვინ გვარჩენს? შენ?

მარინა: კი, მეც დავიწყებ მუშაობას.

ნათია: სად?

შოთა: კლიენტმა მოგიშალა ნერვები?

ნათია: სირებით როა სავსე ეს ქვეყანა, არ იცი?

შოთა: რა მოხდა?

ნათია: არაფერი.

შოთა: მაგ კაბით რატომ წამოხვედი?

ნათია: რა იყო რა, არ მიხდება? ქუჩაში ყველა მიყურებდა.

შოთა: მიდი, გამოიცვალე.

ნათია: რატომ არ მოგწონს?

შოთა: დაწყნარდი რა.

(ნათიას ბუტერბროდიდან ლორის ნაწილი უვარდება)

ნათია: ფუ, შენი!

მარინა: ახალს გაგიკეთებ, შვილო!

ნათია: არ მინდა, რა! თავი დამანებეთ... არ შეიძლება ჩემთვის ვჭამო? წყნარად? ასე რთულია?

შოთა: ჭამე მერე.

ნათია: როგორ ვჭამო როცა თავზე მადგახარ?

(შოთა გაბრაზებული გადის ოთახიდან. პაუზა)

მარინა: რამე მოხდა?

ნათია: არაფერი. რამდენჯერ უნდა გავიმეორო. არაფერი.

მარინა: მე მაინც მითხარი.

ნათია: რა?

მარინა: უცხოები ხომ არ ვართ?

(ნათია არ პასუხობს)

მარინა: მომიყევი, რა დაგემართა.

ნათია: რას მოგიყვე? რომ ჩემს უფროსს, იმის გამო რო საწყალ ხელფასს მაძლევს, შეუძლია ტრაკზე წამომარტყას ხელი... ეს დამემართა. ჰა, მოგიყევი. და რა? რა შეიცვალა?

(შოთა ოთახში ბრუნდება და ნათიას ბოლო სიტყვებს ყურს მოკრავს)

შოთა: დავბრიდავ!

მარინა: შოთა!

ნათია: ვის?

შოთა: ხელებს მოვამტვრევ იმ ნაბოზარს!

(შოთა კარისკენ მიდის)

ნათია: სად მიდიხარ?

შოთა: ხელი.

ნათია: ჰა?

შოთა: ხელი გამიშვი.

ნათია: არა!

(შოთა ნათიას ხელს გააშვებინებს, მაგრამ ნათია ისევ დაიჭერს)

ნათია: შოთა, გთხოვ! არაფერი მომხდარა!

შოთა: ხოო?

ნათია: მართლა! ვერ გაიგე შენ.

შოთა: ხელი გამიშვი!

მარინა: შოთა!

(ჩერდებიან. ნათია ხელს გაუშვებს და შოთაც ჯდება. შემდეგ მოულოდნელად ფეხზე წამოხტება და კარისკენ მიდის)

მარინა: სად მიდიხარ? შოთა!

ნათია: დაანებე!

მარინა: სად წავიდა? გავყვები!

ნათია: გაისეირნებს!

მარინა: შენთან რომ მივიდეს სამსახურში?

ნათია: არავინ დახვდება და დაბრუნდება უკან.

მარინა: რომ დახვდეს?

ნათია: არ შეუშვებენ. თან ის ნაგავი წავიდა უკვე! ჩაჯდა თავის ჯიპში და... შუშას ჩალეწავს სადმე და დაბრუნდება.

მარინა: გავყვები მაინც!

ნათია: ზრუნავ ახლა? დაგვიანებულია. დაგაგვიანდა.

მარინა: არ იცი სად ვიყავი?

ნათია: რომ ვიცი იმიტომ გეუბნები!

(მარინა ჩუმდება და ჯდება. ნათია უყურებს. დგება.)

ნათია: არ გინდა დავლიოთ?

(ჩანთიდან იღებს ვისკის ბოთლს)

ნათია: ბარიდან ავიღე! მაგარი ვისკია. გასინჯული გაქვს?

მარინა: არ მინდა!

ნათია: კარგი რა. ხომ უნდა ავღნიშნოთ შენი დაბრუნება!

(ნათია ჭიქებს იღებს და ავსებს)

ნათია: ნატა სად გდია?

მარინა: კლასელებთან წავიდა!

ნათია: როგორ მოხდა?

მარინა: რა?

ნათია: რო სადმე წავიდა.

მარინა: არ ვიცი.

ნათია: სუ სახლშია მუდოსავით.

მარინა: ბავშვი ჰყავს და რა ქნას?

ნათია: ბავშვი თორე თავს იკლავს მოვლით!

(ნათია მარინას ჭიქას მიუწევს)

ნათია: შენ გაგიმარჯოს!

(ვისკის სულმოუთქმელად დაცლის. მარინა უყურებს. ისიც იღებს ჭიქას და სვამს. ნათია ულიმის და დედის წინ ჯდება. პორციას იმეორებს)

მარინა: ახლა რომ დაგინახე ამ კაბაში იცი რა გამახსენდა?

ნათია: რა?

მარინა: მიწისძვრა.

ნათია: მიწისძვრა რატომ გაგახსენდა ჩემზე?

მარინა: შენ რომ პატარა იყავი, ერთი პერიოდი ძალიან ხშირად ხდებოდა.

ნათია: ჰო, მახსოვს. მერე რა?

მარინა: ყოველ მეორე დღეს სახლიდან გავრბოდით. ეზოში დიდ კოცონს ანთებდნენ. საბურავებს უკიდებდნენ ცეცხლს.

ნათია: ისე საიდან მოჰქონდათ ამდენი? ჭიაკოკონობასაც მაგას არ ვწავდით?

მარინა: ბორბლები კი არა სითბო ჭირდებოდა ხალხს. გაჩერებული იყო ყველაფერი, ციოდა. ცეცხლის გარშემო ვიდექით. კარნავალი გეგონებოდა. ისე გვეცვა ყველას, ღამის პერანგებზე პირდაპირ შუბები და პალტოები. მთელი ძვირფასეულობას ზედ ეკიდათ. ვისაც მანქანა ჰყავდა, იქ აძინებდა ბავშვებს. ხანდახან მუსიკასაც რთავდნენ ხმამაღლა. გარშემო, დაცარიელებულ კორპუსებში აქა-იქ შუქი დარჩენილიყო ანთებული. ერთ-ერთ ფანჯარაში მოხუცი ქალი იდგა, რომელიც არასოდეს გამოდიოდა გარეთ. იდგა და გადმოჰყურებდა ეზოში შეკრებილ ხალხს, გეგონებოდა სიკვდილს ელოდებაო.

ნათია: ეგრეა ნაძირალა შვილები რო გეყოლება ადამიანს!

მარინა: ახლა რომ მოხდეს მიწისძვრა, მგონია, რომ მეც სახლში დავრჩები.

(პაუზა)

ნათია: მე ვიყავი შენს სანახავად მოსული.

მარინა: მართლა?

ნათია: ჰო, მოვედი, მაგრამ ვერ გავბედე შემოსვლა.

მარინა: რატომ?

ნათია: მახსოვდა, რომ ატამი გიყვარდა. ვიყიდე ორი კილო. კურკიანი ხილი არ შეიძლებაო. არ შეიძლება კურკიანი ხილის შეგზავნაო. რა უნდა ქნა კურკით? თავს მოიკლავ თუ სხვას მოკლავ, მაგრამ არ შეიძლებაო და. იქვე დავჯექი, ფანტანთან და კურკების გამოცლა დავიწყე. ნეტავ სახლეჩი ატამი მაინც მეყიდა-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ის ოცი თეთრით მეტი ღირდა.

(ორივე დუმს. ნათია მობილურს იღებს და რეკავს)

ნათია: არ პასუხობს.

მარინა: რამე არ დაემართოს.

ნათია: რა უნდა დაემართოს?

მარინა: მე რა ვიცი... ეგ ხომ შვიდთვიანი დაიბადა. მწვანე. ოთახის მცენარეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბავშვს. ისეთი უმწეო იყო. ძლივს ახელდა თვალებს.

(კარზე ზარია)

ნათია: მოვიდა.

(ნათია დგება და კარს აღებს. შემოდის ნატა)

ნატა: რა იყო თხოვდები?

ნათია: რაზე შემატყვე?

ნატა: აბა, რას გამოწყობილხარ?

ნათია: როცა ვინმე მეკითხება, არ თხოვდებიო? მზად ვარ თვალები ამოვჩიჩქნო, თმაში ვწვდე და კედელზე ვარტყმევინო თავი.

ნატა: ხომ კარგად ხარ?

ნათია: რას ჩამოიღე კარი?

ნატა: მე მაპატიეთ. მავიწყდება. სადაც გავიზარდე, იქ კარს არ კეტავდნენ. რას აღნიშნავთ?

ნათია: დალევ?

ნატა: რავი.

ნათია: გინდა თუ არა?

ნატა: დაასხი!

(ნათია ასხამს)

ნატა: დიდი მადლობა!

მარინა: რისთვის?

ნატა: ბავშვთან რომ დარჩი!

ნათია: სად ბრძანდებოდი?

ნატა: კლასელები ვნახე!

ნათია: რაო მერე?

ნატა: რავი, არაფერი. არ შეცვლილან.

ნათია: მოდი ბავშვს გაუმარჯოს! დიდი გოგო გაიზარდოს! ჩვენ ხომ ბავშვებისთვის ვცხოვრობთ. მომავლისთვის. მერე რა რომ გვაწუხებენ, არ იძინებენ, ტირიან, იჯვამენ. ჩაჯმული მომავალი არ გვინახავს თუ რა? მძღნერში არ ვცხოვრობთ?

მარინა: რა სიტყვებია, რა არის?

(ნატა ჭიქას იღებს ხელში და დასუნავს)

ნატა: ვა!

ნათია: რა?

ნატა: საიდან ვისკი?

(ნატა მოსვამს და იჯღანება)

ნატა: მაგარია!

ნათია: რაღაც გვაკლია.

ნატა: რა?

(ნათია კომპიუტერში მუსიკას ჩართავს)

მარინა: ბავშვს არ გაეღვიძოს!

ნათია: არ გაეღვიძება. ღრმად ძინავს! ადე! ვიცეკვოთ!

(ნათია მუსიკასთან სრულ შეუსაბამობაში ცეკვავს.)

ნატა: კაი, გეყოფა!

ნათია: მიდი, ნატა! არ გინდა ცეკვა გასწავლო? ხომ გინდოდა?

(ნატა აყვება. ორივე ცეკვავს)

ნათია: რა გჭირს? ამყევი. რა ლამაზი ძუძუები გაქვს, რო იცოდე? რა ნახე ჩემს ძმაში? მე რომ ეგეთი ძუძუები მქონდეს... იცეკვე რა. ხშირად უნდა ვიცეკვოთ ხოლმე ერთად!

ნატა: კაი, გეყოფა!

ნატა: შოთა არ მოსულა?

ნათია: მოვიდა კიდეც და წავიდა.

ნატა: სად წავიდა?

ნათია: საგულაოდ!

ნატა: სად საგულაოდ!

ნათია: შენ რო იყავი საგულაოდ კარგია?

ნატა: დედა...

მარინა: ჰო.

ნატა: მართლა სად არის?

ნათია: რა დაუძახე?

ნატა: რა იყო? წინააღმდეგი ხარ?

ნათია: არა, მაგრამ დედიკო არ ჯობს?

ნატა: სადაა შოთა?

მარინა: ნათიას რაღაც შეემთხვა სამსახურში და იქ გაიქცა.

ნატა: რა მოუვიდა?

ნათია: გამაუპატიურეს!

ნატა: ჰა?

მარინა: რას ამბობ, ნათია?

ნათია: ჰო. მაცივარში. ხორცს სადაც ინახავენ. უკან ღორის თავი იდო. ისე ჰქონდა თვალები გაშტერებული, გეგონებოდა ვიღაც ძაან ახლობელმა მოკლა და ვერ აპატიაო. ძალიან სასაცილო იყო. იქვე ნაჯახი რო არ დებულიყო...

მარინა: რა გჭირს ნათია?

ნატა: და შოთა სად წავიდა?

ნათია: შენი აზრით?

ნატა: მერე ვერ გაყევით?

(ნატა მობილურს იღებს და რეკავს)

ნატა: სად გაუშვით?

ნათია: კარგი რა, ნერვიულობ ახლა?

ნატა: ანგარიშზე არ მაქვს! ვერ გაყევით?

ნათია: არაფერი მოუვა!

ნატა: გსიამოვნებს ხომ?

ნათია: რა?

ნატა: იცი ის ბიჭი, სკოლაში ამის გამო სცემა! რას მიყურებ, შენს გამო არ გააგდეს სკოლიდან!

ნათია: შემაგინა და რა არ უნდა ეცემა?

ნატა: იცი ხანდახან მგონია, რომ ეჭვიანობ ჩემზე.

(ნათია იცინის)

ნათია: ვეჭვიანობ?

ნატა: ჰო!

ნათია: ხომ არ გააფრინე?

ნატა: ვერ მიტან! მეგონა ვცდებოდი, მაგრამ არა. ზუსტად ასეა.

მარინა: გეყოთ რა. გაჩერდით!

ნატა: ყელში ამოხვედი უკვე!

ნათია: ჩემი ფულები არ ამოვიდა ყელში?

ნატა: უკან გაიკეთე!

ნათია: სიამოვნებით.

(მარინა მოულოდნელად იწყებს ცეკვას. ნატა და ნათია გაკვირვებულები უყურებენ)

ნატა: თავიდან მეთქი მეჩვენება და...

ნათია: რა გეჩვენება? რა?

(მარინა თვალდახუჭული ცეკვავს. ნატა და ნათია ჩერდებიან. მარინა სავარძელში ჯდება)

ნატა: ბოდიში.

მარინა: რისთვის? ალბომი გამოიტანე რა.

(ნათია გადის და მალევე ბრუნდება.*ხელში ალბომი უჭირავს. ალბომს დედას წინ უდებს. მარინა ალბომს გადაშლის. ნატა მოშორებით ჯდება. მარინა უხმოდ იღებს ფოტოებს და დაჰყურებს.)*

ნატა: ამ ალბომს ეძებდი ხომ რომ მოხვედი?

(მარინა თავს უქნევს თანხმობის ნიშნად და ერთ-ერთ ფოტოს უწვდის ნათიას)

მარინა: ესენი ბებიაშენი და ბაბუაშენი არიან, ბორჯომში.

ნათია: შოთა მაგრად ჰგავს ბაბუას, არა?

მარინა: ჰო, რა ვიცი.

ნატა: მანახე! რას ჰგვანან?

მარინა: სასტიკი ქალი იყო დედაჩემი.

ნათია: რატომ?

მარინა: რა ვიცი. მამაჩემს საყვარელი ჰყოლია ადრე, ახალგაზრდობაში. სამხედრო იყო მამა და ის ქალი ოფიცრის ცოლი იყო თურმე. მერე მთელი ცხოვრება დედაჩემი ყოველდღე იჯდა და კითხულობდა გაზეთს. განსაკუთრებით ნეკროლოგები აინტერესებდა. არაფერს ამბობდა. იჯდა და ჩაჰყურებდა, გეგონება ლატარიის ბილეთს ამოწმებსო. დღეს არ ტოვებდა. ერთხელაც თვალები აენთო. აიღო გაზეთი და მამაჩემს მიურბენინა. აი, შეხედე, შეხედე ვინ მოკვდაო. მამას სახე არ დამავიწყდება. არ ვიცოდი ვინ მოკვდა. მერე გავიგე, რო თურმე ის ქალი, მამაჩემის საყვარელი. ვერ მოინელა. იმის ნეკროლოგს ელოდებოდა თურმე მთელი ცხოვრება.

(ნათია და მარინა ნატას გახედავენ. ის ფოტოს იღებს და დაჰყურებს)

ნატა: როდინდელი ფოტოებია. მე ერთადერთი ფოტო მაქვს ჩემი ბავშვობის. 5 წლის ვარ. თმა შევიჭერი ჩემით. აი, ასე.

(ნატა თმას აიწევს და აიჩეჩავს)

ნატა: სულ ავიჩეხე და მაშინ არ გადამიღეს მაინცდამაინც. ისეთი მახინჯი ვარ. ნაციხარს ვგავარ.

(მარინა ერთ ფოტოს აკვირდება. დგება და სარკესთან მიდის. ხან ფოტოს უყურებს და ხან საკუთარ ანარეკლს)

მარინა: ორსულობამდე 35 კილო ვიყავი.

(ფოტოს მაგიდაზე დებს. სალომე იღებს და უყურებს)

მარინა: ეს შოთიკო. ორი თვისაა აქ.

ნატა: მანახე... რა პაწაწუნა აქვს.

(კარი იღება და შემოდის შოთა. სახე დასისხლიანებული აქვს. მის დანახვაზე ქალები ჩუმდებიან. შოთა მაგიდასთან მიდის. ნატა ფოტოს უჩვდის. შოთა ფოტოს შეხედავს და გაიღიმებს. ფოტოს მაგიდაზე დადებს.)

ნატა (ნათიას): კმაყოფილი ხარ?

(მარინა დგება)

მარინა: სად დევს სპირტი და ბამბა?

(ნატა კარადასთან მიდის და იღებს ბამბას. მარინა აძლევს, მარინა ვისკიში ასველებს ბამბას და შოთასთან მიდის. შოთა არ ინძრევა. მარინა შოთასთან იხრება და ცდილობს სახე მოწმინდოს. მაგრამ შოთა მის ხელს იშორებს)

შოთა: არ მინდა!

მარინა: მოგწმენდ, მაცადე!

შოთა: არაფერი მჭირს.

მარინა: ესე ხომ არ გექნება! მოითმინე ცოტა!

შოთა: რა მოვითმინო? ყველა თავზე რო გვაჯვამს ეგ მოვითმინო?

მარინა: მე ეგ არ მითქვამს! მომაწმენდინე.

შოთა: თავი დამანებე რა. რა გინდა?

მარინა: რა უნდა მინდოდეს?

შოთა: შემოგვხედე რა დღეში ვართ. ნახე, როგორ ვცხოვრობთ.

მარინა: გიყურებთ, მერე?

შოთა: შენი ბრალია!

მარინა: რა არის შოთა ჩემი ბრალი?

შოთა: ყველაფერი!

მარინა: მე რა შუაში ვარ?

შოთა: ვერ ხვდები?

მარინა: ბამბას დაგადებ!

ნატა: ნახე, რა მაგარი ყვავილებიანი შორტები აცვია.

მარინა: ჰო, ნათლიამისმა ჩამოუტანა.

ნატა: არ ვიცოდი მონათლული თუ იყო.

ნატა: არ ვიცოდი მონათლული თუ იყავი.

შოთა: არც მე ვიცოდი. ნათლია კი არა ხალხი გამარჯობას არ გვეუბნებოდა. სასტიკია ხალხი.

(ვისკის ბოთლს იღებს და ბოთლიდანვე სვამს)

შოთა: თავი დამანებე! სად იყო ეს ალბომი? სად მალავდით?

ნათია: არსად არ ვმალავდი. არ გიკითხავს.

შოთა: არა, მაგრამ, შენ არ უნდა გამოგეტანა? ეს ჩვენი ოჯახის ფოტოებია? რატომ არ ჩავსვით ჩარჩოებში? აი, მამაჩემი, ყლეფანდურა, გადაიკარგა, წავიდა, გაქრა... აქ, ჩვენ საწყლები და საცოდავები! ნეტა რა გვაცინებს, მარა რა ვიცოდით, რა მოგვივიდოდა.

ნატა: გაჩერდი შოთა!

შოთა: რატომ? რა მოხდა? რას ვამბობ ისეთს? იცი რას ნიშნავს, როცა გეუბნებიან რომ დედაშენი მკვლელია? იცი რას ნიშნავს როცა გარშემო ყველა ერთმანეთს ეჩურჩულება შენზე? როცა ტრიალდები და ზურგსუკან გესმის, იცით დედამისმა... დედამისმა იცით რა ქნა... საწყლები! საცოდავები! ჯერ გვიცოდებდნენ ვითომ.

(მარინა დგება და მაგიდასთან მიდის)

ნათია: შოთა, გეყოს!

შოთა: რა მეყოს? ჯერ გვიცოდებდნენ, მაგრამ მერე ვზიზღდებოდით. გენებში აქვთ ამათო, ამბობდნენ. რა ჩემი ფეხები იყო ეს გენები, აზრზე არ ვიყავი. გენებშიც გაქვთ და შიგაც გაქვთთქო ვეუბნებოდი.

ნათია: შოთა, გაჩერდი!

შოთა: გავჩერდე? როგორ? გამოვიდა, მოვიდა აქ და დაჯდა. თითქოს არაფერიც არ მომხდარა. თითქოს სამსახურიდან დაბრუნდა. მზრუნველი დედა. რა გეგონა? რა?

მარინა: არაფერი არ მეგონა. თქვენი დის საფლავზე ვიყავი. ისეთი გაბალახებულია. შეგეძლოთ წელიწადში ერთხელ მაინც მისულიყავით და მიგეხედათ.

შოთა: იცი როგორ გვექცევი? თითქოს მკვდრები ვიყოთ. თითქოს მოვკვდით და არ გინდა ამის აღიარება. თითქოს უმალავ საკუთარ თავს, რომ მშვიდად იყო. რო არ იგლოვო. თითქოს ის ჩვენი და კი არა, ჩვენ მოვმკვდარიყავით. გესმის?

ნათია: როგორ მიაგენი?

მარინა: ვიცოდი, რომ დედაჩემის გვერდით დაასაფლავებდით.

(შოთა და ნათია ნატას უყურებენ და არაფერს პასუხობენ ნატას. ნატა კითხვას იმეორებს, მაგრამ პასუხის კვლავ არ ისმის)

ნატა: რას ლაპარაკობთ?

შოთა: ჰო, ნატა. დედაჩვენმა ჩვენი და მოკლა! მოგუდა! აი, აქ ამ სავარძელში იჯდა! ძუძუ ჩაუდო პირში და მოგუდა! დაახრჩო. დედის რძემ ხო სიცოცხლე უნდა შეგინარჩუნოს, ამან კიდევ პირიქით! თითქოს ხომ შვილები უნდა მიდიოდნენ და მერე ბრუნდებოდნენ. აქ პირიქით. დედა წავიდა და დაბრუნდა. და რა გინდა ახლა? რა დედა დაგიძახოთ? სისხლი მოგაწმენდინო? შენი გაკეთებული საჭმელი ვჭამოთ? ერთად ვიცხოვროთ როგორც ნორმალურმა ოჯახმა?

(მარინა ერთ ფოტოს იღებს)

მარინა: კუსა.

შოთა: რა კუსა?

მარინა: ჩემი ძაღლი. ძაღლი მყავდა ბავშვობაში. კუსა ერქვა. ერთხელ ლეკვები გაუჩდა. სამი ისეთი საყვარელი ლეკვი გააჩინა. ისეთი ბედნიერი ვიყავი. სახელებიც დავარქვი. დილით რომ გავიღვიძე და ლეკვები აღარ დამხვდნენ. თურმე დედაჩემმა გადაუყარა. იცით რა ქნა კუსამ? სახლში რაც კი ჩვარი ჰქონდა მოაგროვა. გვერდზე დაიწყო და ისე მიუწვა, გეგონება ძუძუს აწოვებსო.

(შოთა სწრაფად შლის ფოტოალბომს და პოულობს ერთ ფოტოს)

შოთა: ჰოდა, ჩვენც ეგეთი ჩვრები ვართ. ჩვენი დაც ეგეთი ჩვარი იყო შენთვის. სად არის ფოტო?

(შოთა ფოტოებში იქექება და პოულობს)

შოთა: აი, შეხედე! ეს მაინც ხომ უნდა ჩაგვესვა ჩარჩოში!

(შოთა ფოტოს მარინას დაუგდებს)

შოთა: ახლა მაინც ჩამოიკიდე ოთახში!

მარინა: რა ვქნა მითხარი რა? ციხეში შევბრუნდე თუ თავი მოვიკლა?

შოთა: მე მეკითხები? მე საიდან უნდა ვიცოდე შენ რა ქნა, ისიც კი არ ვიცი მე თვითონ რა უნდა ვქნა.

მარინა: ნუ გეშინიათ, წავალ, მოგშორდებით!

ნათია: არასადაც არ წახვალ!

მარინა: არ ვაპირებ შვილო რომ ხელი შეგიშალოთ.

ნათია: ხელი რაში უნდა შეგვიშალო? რაში? ჩვენი და ჩვენ მოვკალით.

მარინა: გაჩერდი!

(პაუზა)

შოთა: რა თქვი?

მარინა: ჩუ, შვილო, ნუ იძახი სისულელელებს!

ნათია: სისულელეს? ან შენ რატომ არ თქვი?

მარინა: რა მეთქვა? რა?

ნათია: ის რომ ჩვენ მოვკალით რატომ არ თქვი? რატომ გაჩუმდი?

შოთა: რას ბოდავ?

ნათია: ვბოდავ? წითელი ლენტი წავუჭირეთ ყელში. დედას საჩუქარი დავახვედრეთ. გვეგონა გაგიხარდებოდა. გვეგონა აღარ იმუშავებდი, აღარ დაიღლებოდი, აღარ წახვიდოდი იმ საზიზღარ საკონდიტროში, აღარ აგივიდოდა ის ტკბილი სუნი, გვეგონა სულ ჩვენთან იქნებდი სახლში. რომ დაბრუნდი, დავიმალეთ. ვერ ვბედავდით გამოსვლას. შენი ხმა ახლაც მესმის, როგორ გვეძახდი, მიშველეთ, ნათია, შოთა, სად ხართ, გამოდით, მალე დავბრუნდები! არ შეგეშინდეთ! მერე ხალხი მოვიდა. პოლიციელები, თავზე გვისვამდნენ ბინძურ ხელებს, ერთ-ერთს ის სუნამო ესხა, მამაჩემი რომ ისხამდა, როცა სადმე მიდიოდით სტუმრად.

(ბავშვის ტირილის ხმა ისმის. ნატა ოთახიდან გავარდება. შოთაც მიჰყვება. ღია კარიდან ისმის ხმა)

ნატა: ჩუ! ნუ ტირი ჩემო პატარავ! ყველაფერი კარგადაა! დედა შენთანაა! ჩუ, ჩემო სიხარულო! დაიძინე და ვარსკვლავები დაგესიზმრება, ჩიტები დაგესიზმრება! ნუ გეშინია სიბნელის. სიბნელე კარგია. გგონია, რომ თვალები დახუჭული გაქვს.

5.

(შოთა ორი ჩანთა უჭირავს. ნატა კი ეტლს მოაგორებს. შოთა კარს აღებს. ნატა გადის. შოთა სახლს მოათვალიერებს და კარს მიიხურავს.

გამოდის ნათია. ხელში ჩარჩო უჭირავს. იღებს ერთ-ერთ ფოტოს. სვამს ჩარჩოში. ვერ გადაუწყვეტია სად დადოს. გამოდის მარინა. ხელში ჩაქუჩი და ლურსმანი უჭირავს. ფოტოს ართმევს ნათიას. ფოტო კედელთან მიაქვს და აჭედებს. ფოტოზე ვხედავთ დედას სამ ბავშვთან ერთად. ისმის ჩაქუჩის მონოტონური ხმა. ბნელდება)